თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 29 აგვისტოს სხდომის ოქმი #9

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 22, სტუდენტები – 5, სულ – 28 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)" მისაღები კონტიგენტის, წინაპირობების და სწავლების საფასურის დამტკიცების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მიერ ადმინისტრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 და 2007 წელს კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

7. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა ა. ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან შემოსული წერილის თანახმად, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში არჩევით დისციპლინებში გამორჩენილია ორი სასწავლო კურსი: აკადემიური წერა – უმაღლესი საფეხური (4 კრედიტი) და აკადემიური წერა – საშუალო საფეხური (6 კრედიტი). ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა აფიქსირებს აღნიშნულს, როგორ ტექნიკურ ხარვეზს, ითხოვს შუამდგომლობას ფაკუტეტისა და აკადემიური საბჭოს წინაშე, რათა აღნიშნული ცვლილებები შევიდეს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში (2013–2015 წწ.; 2012–2014 წწ.).

აზრი გამოთქვა:

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა - ორი საგნის დამატებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი არ მგონია რომ სწორი განმარტება იყოს, რადგან როგორც ვიცით, ეს პროგრამა აკრედიტებულია. თუ პროგრამაში ხდება ცვლილება, მაშინ უნდა დაწერონ, რაც რეალობაა - რომ ხდება პროგრამაში ცვლილების შეტანა და ემატება საგანი. პროცედურულად საჭიროა ჯერ დამტკიცდეს პროგრამაში ცვლილება და შემდგომ უნდა დადგეს კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი. ერთდროულად ამ ორი საკითხის დამტკიცება არ შეიძლება.

სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა - ეს არ არის სწორი, ვინაიდან თუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას გამორჩა საგანი, ამისთვის ვინმე უნდა დაისაჯოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისები. ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ამჯერად კენჭისყრაზე დგება საკითხი სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებების დამტკიცების შესახებ, ხოლო

შემდგომი საბჭოს სხდომაზე განიხილება აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიეცეს თანხმობა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის (ინგლისურენოვანი) 2013-2015 და 2012-14 წლების სამაგისტრო პროგრამის ცვლილებას წარმოდგენილი სახით;
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნულ პროგრამაში ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)" მისაღები კონტიგენტის, წინაპირობების და სწავლების საფასურის დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)" მისაღები კონტიგენტი განსაზღვრულია 50 ადგილით, ხოლო სწავლის საფასური 1000 ლარი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება.

აზრი გამოთქვა:

სრ. პროფ. მ.მარგველაშვილმა - ვინაიდან ეს პროგრამა ქუთაისში ხორციელდება, გამოითქვა აზრი, რომ ეს პროგრამა განსახორციელებლად გადმოგვეცეს ჩვენ.

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილიმა - შენიშვნაში აღნიშნულია, რომ 25 აბიტურიენტის მიღება განხორციელედება თბილისში და 25- ქუთაისში. წლიური გადასახადი გახლავთ 1000 ლარი.

ასოც. პროფ. ე.ლეკაშვილმა - პროფესიულ პროგრამებზე უკვე მიმდინარეობს რეგისტაცია და დასაფიქრებელია ამდენად შევძლებთ თუ არა ამას.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ოფის–მენეჯერი (მდივან–რეფერენტი) (III საფეხური) – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მისაღები კონტიგენტის, წინაპირობების და სწავლების საფასურის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)" მისაღები კონტიგენტი - 50 ადგილი, სწავლების საფასურის - 1000 ლარი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნ. პაპაჩაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგინა საკითხი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

*ა) **„ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის"** აკადემიური ხარისხი მიენიჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის ინფორმაცია #4751/23; 29.08.2013; 9 გვერდი).*

1. *დიპლომი წარჩინებით - 45 კურსდამთავრებული;*
2. *დიპლომი ჩვეულებრივი - 111 კურსდამთავრებული.*

*ბ) **„ეკონომიკის მაგისტრის"** აკადემიური ხარისხი მიენიჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს* (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის ინფორმაცია # 4751/23; 29.08.2013; 9 გვერდი).

1. *დიპლომი წარჩინებით - 20 კურსდამთავრებული;*
2. *დიპლომი ჩვეულებრივი - 52 კურსდამთავრებული.*

*გ) მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ბ. მღებრიშვილის ინფორმაცია # 4755/23; 29.08.2013; # 4756/23; 29.08.2013):*

1. დიპლომი წარჩინებით - 11 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 49 კურსდამთავრებული.

*დ) მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“** აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს (იხ. დანართი: # 4755/23; 29.08.2013):*

1. დიპლომი წარჩინებით -17 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 143 კურსდამთავრებული.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის ინფორმაცია # 4751/23; 29.08.2013; 9 გვერდი).

   1. დიპლომი წარჩინებით - 45 კურსდამთავრებული;
   2. დიპლომი ჩვეულებრივი - 111 კურსდამთავრებული.

2. მიენიჭოს ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ,,ეკონომიკის მაგისტრის'' აკადემიური ხარისხი (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის ინფორმაცია # 4751/23; 29.08.2013; 9 გვერდი).

   1. დიპლომი წარჩინებით - 20 კურსდამთავრებული;
   2. დიპლომი ჩვეულებრივი - 52 კურსდამთავრებული.

3. მიენიჭოს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ,,ეკონომიკის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი (იხ. დანართი# 4755/23; 29.08.2013; 5 გვერდი; # 4756/23; 29.08.2013, 1 გვერდი).
4. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი (იხ. დანართი: # 4755/23; 29.08.2013; 5 გვერდი):

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მიხედვით განხილული პირველი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც მოხდება თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება, შემდგომ საბჭოს სხდომაზე განიხილება აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების საკითხი. შესაბამისად ეს საკითხი დღეს კენჭისყრაზე არ დადგება.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად

მოისმინეს: ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მიერ ადმინისტრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნ. პაპაჩაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგინა საკითხები:

ა) ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მიერ ადმინისტრირებული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ხარისხების მინიჭების შესახებ; პროგრამის დასახელება: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი ხარისხი - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში.

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო 25 სტუდენტის შესახებ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ე. კვირიკაშვილის წერილის საფუძველზე 3 სტუდენტთან დაკავშირებით – ღაღანიძე ხატია, ყიფიანი ნიკოლოზი და ჯიქიძე მარიამი საჭიროა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, ამიტომ ამ ეტაპზე მათ არ ენიჭებათ ხარისხი.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში ხარისხი (იხ. წერილი # 63/104–00; 05.08.2013).

1. დიპლომი წარჩინებით (1 სტუდენტი)
2. დიპლომი ჩვეულებრივი (21 სტუდენტი).

ბ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ; მისანიჭებელი ხარისხი: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი.

მიენიჭოს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი (Msc in Tourism and Hospitality Management) ორ კურსდამთავრებულს (იხ. წერილი # 63/104–00; 05.08.2013):

1. გრიგორიან ნაირა (დიპლომი წარჩინებით);
2. მურადიან კარინე (დიპლომი წარჩინებით);

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის 22 კურსდამთავრებულებს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ ხარისხი (იხ. წერილი # 63/104–00; 05.08.2013):
2. 25 კურსდამთავრებულიდან სამს: ხატია ღაღანიძეს, ნიკოლოზ ყიფიანს და მარიამ ჯიქიძეს ამ ეტაპზე არ მიენიჭოთ ხარისხი.
3. მიენიჭოს ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის“ ხარისხი შემდეგ კურსდამთავრებულებს (იხ. წერილი # 63/104–00; 05.08.2013):

    1. გრიგორიან ნაირა (დიპლომი წარჩინებით);
    2. მურადიან კარინე (დიპლომი წარჩინებით).

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 და 2007 წელს კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ;

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსამთავრებულის - ელენე გელაშვილის და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულის - ეკატერინე აბაშიძის დიპლომის დანართების მიწოდების შესახებ.

აღნიშნულ კურსდამთავრებულებს არასწორად ჰქონდათ მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და უნდა მოხდეს ხარისხების კორექტირება იმ დროისათვის არსებული შესაბამისი მარეგულირებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633–ის მიხედვით. ე. გელაშვილს ხარისხი მიენიჭა 2007 წელს, ე. აბაშიძეს კი 2008 წელს.

აღნიშნული კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირებისათვის, შესაბამისი დროისთვის მოქმედი რეგულაციის თანახმად,

საჭიროა განხორციელდეს თსუ რექტორის 31.01.2007 წლის #34/01–04 და 04.04.2008 წლის #531/01–04 ბრძანებების კორექტირება:

1. *საბაკალავრო პროგრამის **„ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები“** კურსდამთავრებულს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
2. *საბაკალავრო პროგრამის **„ეკონომიკური კიბერნეტიკის“** კურსდამთავრებულს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
3. *საბაკალავრო პროგრამის **„ტურიზმის, კომერცია და სარეკლამო ბიზნესის“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
4. *საბაკალავრო პროგრამის **„სასტუმრო და ტურისტული ბიზნესის“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
5. *საბაკალავრო პროგრამის **„მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმე“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
6. *საბაკალავრო პროგრამის **„მარკეტინგი“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
7. *საბაკალავრო პროგრამის **„სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშრისო ვაჭრობაში“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
8. *საბაკალავრო პროგრამის **„სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშრისო ვაჭრობაში“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
9. *საბაკალავრო პროგრამის **„ბიზნესის ადმინისტრირება”** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
10. *საბაკალავრო პროგრამის **„ეკონომიკური ინფორმატიკა”** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*

11. *საბაკალავრო პროგრამის **„სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
12. *საბაკალავრო პროგრამის **„ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
13. *საბაკალავრო პროგრამის **„მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
14. *საბაკალავრო პროგრამის **„პერსონალის მართვა“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
15. *საბაკალავრო პროგრამის **„საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვა“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
16. *საბაკალავრო პროგრამის **„მენეჯმენტი“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
17. *საბაკალავრო პროგრამის **„საფინანსო–საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
18. *საბაკალავრო პროგრამის **„საბაჟო–საგადასახადო საქმის ორგანიზაცია და მენეჯმენტი“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
19. *საბაკალავრო პროგრამის **„საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
20. *საბაკალავრო პროგრამის **„სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*
21. *საბაკალავრო პროგრამის **„კვების პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*

22. *საბაკალავრო პროგრამის **„ინფორმატიკა ბიზნესში“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
23. *საბაკალავრო პროგრამის **„მედიცინის, კურორტების, ტურიზმის და სამედიცინო დაზღვევის ბიზნესის“** კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
24. *სპეციალობის **„ეკონომიკური კიბერნეტიკის“** კურსდამთავრებულებს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
25. *სპეციალობის **„შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის“** კურსდამთავრებულს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
26. *სპეციალობის **„ეკონომიკური თეორიის“** კურსდამთავრებულს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
27. *სპეციალობის **„მაკროეკონომიკის“** კურსდამთავრებულს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
28. *სპეციალობის **„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“** კურსდამთავრებულს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
29. *სპეციალობის **„ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის“** კურსდამთავრებულს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*
30. *სპეციალობის **„ვაჭრობის ეკონომიკისა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების“** კურსდამთავრებულს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სტატისტიკოსის კვალიფიკაციით ენიჭებოდა სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633–ის მიხედვით, სტატისტიკა იყო შემდეგ მიმართულებაში – „საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები“, სადაც გარკვევით წერია, რომ მიენიჭოს მათემატიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

აზრი გამოთქვა:

სრ. პროფ. ი ანანიაშვილმა - მათემტიკის ბაკალავრის ხარისხს ვერ მივანიჭებთ იმიტომ, რომ პროგრამის შინაარსი არ შეესაბამება მათემატიკის ბაკალავრის ხარისხის.

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ განათლების #633 მინისტრის ბრძანება ამის საშუალებას არ იძლევა. ამ საკითხთან დაკავშირებით იურისტებთან კონსულტაციები იქნა აღებული. განგვიმარტეს, რომ იმ დროს მოქმედი რეგულაციის მიხედვით უნდა გასწორდეს შესაბამისი ხარისხები. იურიდიულად ჩვენ სხვა შესაძლებლობა არ გვაქვს. ამ ეტაპზე ალბათ მიზანშეწონილია, რომ ეს ორი ბრძანება, რომელიც დღეს ფაკულტეტის საბჭოზე იქნა გამოტანილი, გასწორდეს სტატისტიკის სპეციალობის გარეშე და იურისტებს მივმართოთ დამატებითი კონსულტაციებისთვის სტატისტიკის საკითხთან დაკავშრებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები სრ. პროფ. გ. ღაღანიძის, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილის, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძის მიერ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღნიშნული ჩასწორება განხორციელდეს წარმოდგენილი შესწორებების შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: **ა. ხელაძე**

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: **მ. ნაცვალაძე**